ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 268

ქალაქი ქუთაისი 27 მაისი 2020 წელი

ევროკავშირის ინიციატივაზე „მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისთვის“ ახალ პერიოდთან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერთების შ ე ს ა ხ ე ბ

ევროკავშირის ეგიდით უკვე რამდენიმე წელია მოქმედებს ე.წ. „მერების შეთანხმება“, რომელსაც მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ათასზე მეტი ქალაქი შეუერთდა. შეთანხმება, გლობალური საფრთხეების, მათ შორის უპირველეს ყოვლისა, კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართულ დოკუმენტს წარმოადგენს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე–16 მუხლის მე–3 და მე–4 პუნქტების, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს ევროკავშირის ინიციატივაზე „მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისთვის“ ახალ პერიოდთან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერთების ვალდებულებების დოკუმენტი.

(მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე, დანართი №1-ის შესაბამისად, წინამდებარე განკარგულების დედანს თან ერთვის)

მუხლი 2. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს, დავით ერემეიშვილს ხელმოწერით მიუერთდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი ევროკავშირის ახალ ინიციატივას „მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისთვის“.

(მერების შეთანხმებასთან მიერთების ფორმა, დანართი № 2-ის შესაბამისად, წინამდებარე განკარგულების დედანს თან ერთვის)

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა № 11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2020 წლის მარტის

№ განკარგულების დანართი №

Covenant of Mayors for Climate & Energy
CoM East

დანართი 1

მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე

ჩვენ, მერები, ამ შეთანხმების ხელმოწერით, ვიზიარებთ საერთო ხედვას მდგრად მომავალზე, მიუხედავად ჩვენი მუნიციპალიტეტების ზომებისა და მათი ადგილმდებარეობისა მსოფლიო რუკაზე. საერთო ხედვა ხელს გვიწყობს ჩვენი ქმედებები მივმართოთ საჭირო მიმართულებით, ერთმანეთთან კავშირში მყოფ პრობლემათა გადასაწყვეტად: კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ შედეგთა შერბილების, ადაპტაციისა და მდგრადი ენერგეტიკის შესაქმნელად. ერთად, ჩვენ მზად ვართ, გადავდგათ კონკრეტული გრძელვადიანი ნაბიჯები, რომელიც უზრუნველყოფს ეკოლოგიურად, სოციალურად და ეკონომიკურად მდგრადი გარემოს დამკვიდრებას თანამედროვე და მომავალი თაობებისთვის. ჩვენი საერთო ვალდებულებაა შევქმნათ უფრო მდგრადი, მიმზიდველი, ცხოვრებისათვის ხელსაყრელი, სიცოცხლის უნარიანი და ენერგოეფექტური ტერიტორიები.

ჩვენ, მერები ვაღიარებთ, რომ:

კლიმატის ცვლილებას უკვე აქვს ადგილი და ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა, ამიტომაც საჭირო გადაუდებელი ქმედება და თანამშრომლობა ადგილობრივ, რეგიონალურ და ნაციონალურ მთავრობებს შორის, მსოფლიოს მასშტაბით;
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები - ძირითადი მამოძრავებელი ძალაა გარდამავალი ენერგეტიკის შექმნასა და კლიმატური ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან მმართველობის ეს რგოლი მჭიდრო კავშირშია მოქალაქეებთან. სწორედ მოქალაქეები, რეგიონალურ და ეროვნულ ხელისუფლებასთან ერთად პასუხისმგებელნი არიან ქმედებებზე კლიმატის დაცვის სფეროში და მათ აქვთ სურვილი იმოქმედონ სხვა მხარეთა მიერ აღებულ ვალდებულებათაგან დამოუკიდებლად. ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების ორგანოები, ყველა სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციაში და ნებისმიერ გეოგრაფიულ ზონაში, დგანან ბრძოლის წინა ხაზზე, რათა შეამცირონ და შეაკავონ მათი ტერიტორიების მიმართ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული სხვადასხვა ეფექტი. თუმცა დიდია ძალისხმევა მაინც გამონაბოლქვების შესამცირებლად, ადაპტაცია უკურ კიდევ საჭირო და აუცილებელი დანამატია კლიმატის ცვლილებით მიღებულ შედეგთა შესარბილებლად;

კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ შედეგთა შერბილებასა და ადაპტაციას შეუძლია მრავალი უპირატესობის მოტანა გარემოსთვის, საზოგადოებისა და ეკონომიკისათვის. ამ პრობლემათა მოგვარება, ადგილებზე მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ახალ პირობებს ქმნის. ესენია: ინკლუზიური, კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადი და ენერგოეფექტური საზოგადოებისა და ინფრასტრუქტურის ფორმირება; ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება; ინვესტიციებისა და ინოვაციების სტიმულირება; ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება და სამუშაო ადგილების შექმნა; დაინტერესებულ მხარეთა უფრო აქტიური ჩართულობა და თანამშრომლობის განვითარება.

ენერგიასა და კლიმატთან დაკავშირებულ პრობლემათა ადგილობრივი გადაწყვეტა უზრუნველყოფს უსაფრთხო, მდგრად, კონკურენტუნარიანი და ხელმისაწვდომ ენერგიის წარმოებას თითოეული მოქალაქისათვის, შესაბამისად, ამცირებს მათ ენერგო დამოკიდებულებას და იცავს მომხმარებელთა ყველაზე უმწეო ფენებს.

ჩვენ, მერებს, გვაქვს საერთო ხედვა და მიზნები 2050 წლამდე: